# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-დღეების შემდეგაც.— კვირა, 16 აპრილი 1900 წ. № 1098

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.

## პარიზის გამოფენაზე წამსვლელთა საყურადღებოდ

**პარიზში ნაცხოვრები და ფრანგული ენის მცოდნე ქართველი** ჰკისრულობს გაჰყვეს პარიზის მსოფლიო გამოფენის ნახვის მსურველს და სათანადო დახმარება გაუწიოს გამოფენისა და თვით ქალაქის ღირს-შესანიშნავ დაწესებულებათა დათვალიერების საქმეში. იგივე ჰკისრულობს იქითობას ან აქეთობას დაათვალიერებინოს ევროპის სატახტო ქალაქები.—ადრესისა და სასყიდლის შესახებ პირობათა შეტყობა შეიძლება „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში. (რ 0—6)

## სახალხო სმირნოვა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21. (ნ. 0—28)

## ახალი ამბავი

— გორის მემამულეთა სინდიკატის ახალი ანგარიშიდან (1899—1900 წ.წ.) სჩანს, რომ, მიუხედავად პატარა თანხისა, რომელსაც იგი აწარმოებს, საზოგადოების აღებ-მიცემო მოქმედება იზრდება: ერთი წლის განმავლობაში სინდიკატის აღებ-მიცემობა გაზრდილა 63,786 მ. და 12 კაპ. (წინეთ იყო 141,881 მ. და 17 კ., ეხლა კი 205,666 მ. და 29 კ.), საანგარიშო წლის განმავლობაში ამხანაგობას გაუხსნია განყოფილებანი—ტფილისში, ს. ს. ქნოლევში და ბრეთში,—და, გამგეობის აზრით, ეს არის საქმის გაზრდის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი. მეორე ხელ-შემწყობ გარემოებად არის აღიარებული საინტენდანტო უწყებასთან საქმის დაჭერა, რომელსაც ძლიერ აუწევია ჭირნახულის ფასი. ხელის შემშლელი მიზეზი ის საშინელი სეტყვა ყოფილა, რომელმაც შარშან სოფელში სრულებით მოსპო ჭირნახული. რომ ეს უბედურება არ ყოფილიყო, ამბობენ ანგარიშის შემდგენელნი, ამხანაგობის აღებ-მიცემობა კიდევ უფრო მეტი იქმნებოდაო. საქმის ზრდასთან, საზოგადოება თან და თან მეტ ნდობას პოულობს: ტფილისის სახელმწიფო ბანკს ჯერ-ჯერობით სამასი თუმნის კრედიტი გაუხსნია მისთვის, ტფილისის საკომერციო ბანკს—ოთხასი თუმნის, აზოვ-დონის ბანკი იღებს სინდიკატის ვექსილებს. ამითი ტფილისის ვაჭრებშიაც მოუპოვეიათ ნდობა და საქონელი ნისიათ მიაქვთ 4—6 თვის ვადით. განსაკუთრებით სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ჩარჩები და კამისიონერები, როგორც ანგარიში ამბობს, წინანდებურად ვერ დათარეშობენ გლეხ-კაცობაში, რადგანაც საზოგადოებას მეტი ნდობა აქვს გლეხ-კაცის თვალში და მასთან ირჩევს საქმის დაჭერას. საზოგადოებას რომ მეტი თანხა ჰქონდეს და შეეძლოს ყოველთვის გაჭირვების დროს გლეხს ფული მიაწვდინოს, ჩარჩ-ბაცაცების სოფელში ნავარდობას საზღვარი დაედებოდა და გაჭირვებულ და წელში გაწყვეტილ გლეხობას პატარა შესუბუქება მიეცემოდა, რაც უმთავრესი მიზანი უნდა იყოს ისეთი დაწესებულებისა, როგორიც გორის სინდიკატია. აუცილებელი საჭიროებაა თანხის გაძლიერება და ამიტომ, იმედია, მომავალი საზოგადო კრება (30 აპრ.) უმეტესს თავის ყურადღებას იმ ზომების გამოგონებას და შემუშავებას მიაქცევს, რომელნიც ამ მიზანს განახორციელებენ, და არა შენ-ჩემობას და საარჩევნო პოლიტიკას, რომელთაც ბევრი დაუშავებიათ სხვა ჩვენ საზოგადო დაწესებულებათათვის.

— პირველ საქალებო გიმნაზიის მასწავლებელს მ. ი. ვოსტორგოვს მიუღია მადლობა და მწყემსმთავრული ლოცვა-კურთხევა სამღვთო სჯულის კარგად სწავლებისა და საზოგადოდ მოსწავლე ახალგაზრდობაზე კეთილი გავლენისათვის („კავკ.“).

— ამ ორი წლის წინად აღძრული იყო კითხვა შესახებ ხორცის ხარისხებზე დაყოფისა და გასყიდვისა საბჭოში ხმოსნებმა ბ.ბ. ხუდადოვმა, ა. ევანგულოვმა და ა. ბაბოვმა ცხადად განუმარტეს საბჭოს დანარჩენ ხმოსნებს აუცილებელი საჭიროება ამ რიგად ხორცის გაყიდვისა. შემდეგ კიდევ რამდენჯერმე ეს ხმოსნები შეეკითხნენ ქალაქის გამგეობას, თუ რა მდგომარეობაშია საქმეო, მაგრამ ქალაქის გამგეობა დაპირების წრეს გადასცილებია და მხოლოდ გამგეობის ამ დაუდევრობისა გამო ტფილისის მცხოვრებნი იკვებებიან ძვირისა და უვარგისის ხორცით. გარდა ამისა, რადგან საკლავი საქონელი ხელოვნურად იქმნა გაძვირებული, ამას წინად აღძრული იყო კითხვა შესახებ იმისა, რომ ქალაქის გამგეობას ქალაქის სხვა-და-სხვა ადგილას გაეხსნა საკუთარი დუქნები ხორცის გასაყიდად და ამით აელაგმათ დალალ-ჩარჩები, მაგრამ, როგორც ყველა დაწყებულების აღსრულება, აგრეთვე ამის სისრულეში მოყვანაც ჩვეულებისამებრ „დროებით“ გადიდო. ეს „დროებით“ გადადება „ჩვეულებრივვე“ დღეგრძელი იქმნება და ტფილისის მცხოვრებნი კი მოთმინებით უნდა ელოდნენ საქმის დაბოლოებას და მანამდე ყოველ დღე ჰხარჯავდნენ მეტ ფულს და იკვებებოდნენ ცუდის ხორცით. შეერთებულმა კრებამ გამგეობისა, საფინანსო კომისიისა და განსაკუთრებულ კომისიისამ დაადგინეს სესხად იქმნას აღებული „უსახელო საზოგადოებისაგან“ 600,000 მან. ტფილისის ქუჩების ქვით დასაფენად.

საქალაქო ხორცით ვაჭრობის მოსაწყობად გამონანგარიშებით საჭიროა თანხად 50,000 მ., აქედან თვით დუქნების მოსაწყობად 1200—1500 მანეთამდე, ხოლო დანარჩენი კი საკლავის სასყიდლად. ქალაქის გამგეობამ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაპყროს მცხოვრებთა ახლანდელ მდგომარეობასა და გაუადვილოს სყიდვა მიუცილებლად საჭირო სანოვაგისა. ეს ფული გამგეობას შეუძლიან სესხად აიღოს იმ 600,000 მანეთიდან, მით უფრო, რომ სულ ერთია ამოდენა ადგილის ქვით დაფენას მოუნდებიან სამი-ოთხი წელიწადი და ფული უსარგებლოდ ბანკში უნდა იდოს.

თუ ამ საშუალებას არ მიმართავს ქალაქის გამგეობა, ხორცი თან-და-თან დაძვირდება და ხალხს მოაკლდება მარგებელი საზრდო, რომელიც საჭიროა მუშაობაში დაკარგულ ენერგიის გასაძლიერებლად. ნიხრების დაწესება და ისიც იმისთანა წესით, როგორც ქალაქის გამგეობა აწესებს, მხოლოდ თავიანთ თავის მოტყუებაც არის და ხალხისაც.

— ტფილისის ცხენის რკინის გზაზე მომუშავე კონდუქტორებს „უსახელო საზოგადოების“ გამგეობამ დღიური მუშაობა შეუმოკლა ერთი საათით, მაგრამ მაინც ამისთანა ხანგრძლივი მუშაობა არც ერთ ქარხანაში არ არის, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ კონდუქტორებსა და ცხენების გამრეკავს გარდა დღიური ჯამაგირისა დამატებითი ფასი არ ეძლევა არც ღამისა და არც უქმეებში მუშაობისათვის. მუშაობის ერთი საათით შემცირება გამოიწვია ამას წინად კონდუქტორების მიერ უთანხმოების გამოცხადებამ,—გაფიცვამ. გარდა ამისა, ბ-ნ რობის განკარგულებით, როგორც შევიტყვეთ, ქართველებს თითქმის აღარ იღებენ კონდუქტორებად, რადგანაც მოუსვენარი ხალხიაო. რამდენადაც აქ ცუდად ეპყრობიან ცხენის რკინის გზაზე მოსამსახურეთ, იმდენად ბაქოში ერთი-ორად აჯილდოვებენ ცხენის რკინის გზაზე მომუშავეთ.

— პური, ხორცი, წყალი არსებითი სანოვაგე საგნებია ადამიანთა საკვებავად, საცხოვრებლად. რამდენად გაადვილებული იქმნე-

ბა მათი შეძენა, რამდენად იაფი იქმნება და რამდენად კარგის ღირსებისანი იქმნებიან ერთიც, მეორეც და მესამეც, იმდენად ხალხი უფრო ჯანმრთელი იქმნება, უფრო მხნე, და შრომაც მეტი გამოუვა ხელიდან. სოფლებში მამასახლისები, ბოქაულები და მაზრის უფროსები არიან მოვალენი და ქალაქებში ქალაქის გამგეობა, მიაპყრონ ამას ჯეროვანი ყურადღება და ხელი შეუშალონ პურზე ხშირად ხელოვნურად ფასების აწევას სხვა-და-სხვა ჩარჩ-მოვაჭრეებისაგან; ამ უკანასკნელ ნახევარ წლის განმავლობაში ტფილისში მორეკილი საკლავი საქონელი საშინლად ძვირად იყიდება. საქონელი მოუდით „ჩოდრებს“, რომელნიც სოფელ-სოფელ ყიდულობენ შედარებით იაფად და ან თვითონ მოჰყავთ ან თვითონაც სხვა ჩოდრებზე ჰყიდიან და ტფილისში სამ-ოთხ ხელში გამოვლილ საქონელს ჰყიდიან ძვირად ტფილისის ყასბებზე. ხშირად ტფილისში მომავალ საქონელს იგივე ჩოდრები და ხან დალალებიც ქალაქ გარეთ გზებზე უხვდებიან და ყიდულობენ ძვირად გასაყიდად. ამ, კანონითაც დევნილმა, უმართებულო ვაჭრობამ, საშინლად გააძვირა ხორცი, მაგალითად: თუმცა ახლა ქალაქის გამგეობის მიერ დაწესებული ნიხრით გირვანქა ეგრედ წოდებული ძროხის ხორცი ღირს 10 კ., მაგრამ იყიდება 12—13 კაპიკად მაშინ, როდესაც წინა წლებში ამ დროს ხორცი ფასობდა 5—6 კაპიკად. მართალია, ჰირიანობას აბრალებენ ამ გარემოებას, მაგრამ „დაძვირება“ უფრო ადგილობრივი, ტფილისის სენია და არა პროვინციისა, სადაც საკლავი საქონელი ასე შესამჩნევად არ გაძვირებულა სწორედ ამავე ჰირის მიზეზით.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელს მოსვლია ქაღალდი სათანადო უწყებისაგან, რათა გამოუცხადოს თავ. ნ. დ. ჭავჭავაძეს და ინჟ. კ. ნ. სიმბერგს, რომ 10-ს მარტს 1900 წ. უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა **„კახეთის რკინის გზის სააქციონერო საზოგადოების“ წესდება**. ხსენებულს საზოგადოებას ნება აქვს გაიყვანოს და ასარგებლოს რკინის გზა სადგ. ზემო-ავჭალიდან სადგ. საქობომდე (სიღნაღის მაზრა).

✦ ხმოსანმა გ. მ. თუმანიშვილმა სახალხო წარმოდგენებისათვის შენობის ასაგებლად შედგენილ კომისსიას წარუდგინა თავისი აზრი იმის შესახებ, რომ უმჯობესი იქმნება სახალხო თეატრისათვის შენობა გაკეთდეს იქ, სადაც ახლა არის დროებითი შენობა, მით უფრო, რომ ვერც თავისუფალი ადგილი უშოვიათ და ეს ადგილი უფრო მარჯვეა ყველასათვისაო. რადგან სახალხო თეატრში მოსიარულეთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება და უკანასკნელ დროში ასობით ბრუნდებიან უკან დარბაზში უადგილობისა გამო და რადგან ამგვარ გართობას დიდი სარგებლობა მოაქვს ხალხის აღზრდა-განვითარებისათვის, საჭიროა კომისიამ იზრუნოს სხვა ადგილებშიაც აგოს შენობები და ჰმართოს წარმოდგენები. ამისათვის საჭიროა აგება შენობებისა ვერაზე და ავლაბარში, რისთვისაც საჭირო ფული შეიძლება ბანკიდან იქმნას გამოტანილი. ვალი ადვილად იქმნება გარდახდილი ყოველ წელიწადს მოგროვილი ფულით და იმ შემოსავლიდან, რომელიც წარმოდგენების გამართვიდან შემოვა.

✦ ინჟერენი რობი უკვე შესდგომია **ფუნიკულიორისთვის საჭირო მიწების მუშაობას** თავის მამულში, მთა-წმინდაზედ. მოწვეულ სპეციალისტ ინჟენრებს უკვე შეუდგენიათ მთა-წმინდაზე წყლის გაყვანის პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა.

✦ ორშაბათს, 17 აპრილს, მოხდება **ქალაქის საბჭოს სხდომა**, რომელზედაც, სხვათა შორის, უნდა გაირჩეს: 1) დადგენილება გამგეობისა და არჩეულ კომისსიისა ფუნიკულიერის კონცესსიის შესახებ, 2) სამოსწავლო კომისიის აზრი სახალხო თეატრისათვის ადგილის დათმობის შესახებ, 3) გამგეობის დადგენილება სულით-ავადმყოფთა თავშესაფარში საწოლების მომატების შესახებ, 4) მოწერილობა რკინის გზის მმართველობისა, რკინის გზის მამულების განთავისუფლების შესახებ ქალაქის გარდასახადისაგან და გამგეობის მოხსენება ამ საგანზე, 5) დადგენილება გამგეობისა ინჟენ. ლინდლეის პროექტის შესახებ (ტფილისისათვის საჭირო წყლის მოძებნის შესახებ) და სხვა.

✦ დღეს, 1 საათზე, საუფლისწულო ქუჩაზე (უდელნაია), მაკაროვის ადგილში, **მაწის მზოველთა სასწავლებლის შენობის პირველ სამირკველს** ჩაჰყრიან.

✦ ღვინისთვის დანიშნული საურთიერთო კრედიტის ბანკის წევრთა საზოგადო კრება გადაიდო 30 აპრილისათვის.

✦ 13 აპრილს, სად. მცხეთასთან, თფილისის სასულიერო სასწავლებლის პირველი კლასის მოსწავლე ალ. ბაქრაძე მეშა მატარებლის (№ 161) ბორბლებ ქვეშ შევარდნილა და იქვე გასრესილს სული დაულევია.

✦ ს. ფსხოველიდან, «ივერიას» ატყობინებენ შემდეგ ამბავს 3 აპრილს, ღამით, როდესაც ის იყო ლამპარი ჩაექრო აქაურის მღვდლის იოსებ ახალშენიშვილის ოჯახობასა და სამილოდ გამზადებულიყვნენ, ორი შეიარაღებული კაცი გომში შესცვივნოდნენ მოსამსახურე ბიჭსა, დასდგომოდნენ ბერდანკითა და ხანჯლით, განდა თუ არა, გვითხარი, სად აქვს მღვდელს შენახული ფული, ან რომელ ოთახში სძინავთო. ბიჭს ფულისა-კი ვერა ეთქვა-რა, მაგრამ როდესაც სახლის დერეფანზე აუთრიათ, უთქვა, რომელს ოთახშიაც ეძინათ. ორთავეს პირი ფაბალახით ჰქონდათ ახვეული,—ალბად იმისთვის, რომ არავინ გვიცნოსო, და ერთიც სრულიად არა ლაპარაკობდა თურმე. ჩააცივდნენ ბიჭს, მღვდელს დაუძახეო და გარეთ გამოკაო. ბიჭს ეს არ ექმნა და ტირილი დაეწყო. მაშინ თითონ დაერახუნებინათ კარები. მღვდელსა და მისს სახლობას ჯერ თურმე არ ეძინათ და მაშინათვე ხმა მისცეს; კიდევ დაარახუნეს და ამ ჟამად უფრო ძლიერად. მაშინ დაეძახნა მღვდელს, ვინა ხართ, მოიცადეთ, ჩავიცვამ და გამოვალო. მაგრამ მღვდელისა და მისის ოჯახობის საბედნიეროდ, მღვდელს ბედნიერმა აზრმა გაუელვა თურმე ჩაიცვა ტანთ და იმის მაგივრად, რომ პირდაპირ გასულიყო კარიდგან, მოუარა და გვერდით კედელში გამოჭრილ ფანჯარიდგან გადახტა და მეზობლებს მიაშურა ძახილით: არიქა, გვიშველეთ, ყაჩახები დაგვესხნენო! ყაჩაღებსაც მეტი არ უნდოდათ; იფიქრეს, არიქა მეზობლებმა გაიგეს და მშველებიანო და გაიქცნენ.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

(საგანგებო)

14 აპრილი

**მოსკოვი.** ხელმწიფე იმპერატორი, იმპერატრიცა, დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ და დიდნი მთავარნი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე და ანდრია ვლადიმერის ძე ბრძანდებოდნენ დღეს მეოთხე საათზე საქალაქო ტრეტიაკოვის დარბაზში. მათ უდიდებულესობათ მიეგებნენ შესავალში ქალაქის მოურავი თავ. გოლიცინი, დარბაზის რჩევის წევრნი ოსტროუხოვი, ცვეტკოვი და სეროვი, დარბაზის დამფუძნებელის აწ განსვენებულის ასული გრეცენკო და დარბაზის ყურისმგდებელი ხრუსტალევი. მათ უდიდებულესობათ დაწვრილებით გასინჯეს ყველა 24 ოთახი, გასინჯეს რუსთა ძველი ხატები, შეგროვილი დამფუძნებელის მიერ და მოთავსებული მისს სასადილოდ ყოფილ ოთახში. ხელმწიფე იმპერატორმა განსაკუთრებულ ყურადღებით გასინჯა ხატები მე-XIV საუკუნისა და სტროგანოვას ხასიათით ნახატები და ძველი ალლეგორიული სურათები, რომელნიც წარმოადგენენ ადამიანთა სიცოცხლის არარაობას და სიკვდილს— აუცილებელს შედეგს სიცოცხლისას. მათ უდიდებულესობათ და უმაღლესობათ თავიანთი სახელები ჩასწერეს წიგნში, რომელიც განსაკუთრებით დანიშნულია მაღალ ხარისხოვან მომსვლელთათვის. ხოლო მათი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ დარბაზიდან გაცილებულნი მრავალის ხალხის მიერ „ურას“ ძახილით. დღეს, შუადღის ექვს საათზე მათი უდიდებულესობათა და უმაღლესობათა თანადასწრებით გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ღვთივ-განსვენებულის დიდი მთავრინას ალექსანდრა პეტრეს ასულის სულის მოსახსენებლად.

**მოსკოვი.** უმაღლესი მანიფესტი. „წყალობითა ღვთისათა, ჩვენ, ნიკოლოოზ მეორე, იმპერატორი და თვით-მპყრობელი მთელის რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვათა, და სხვათა, და სხვათა... ვუცხადებ ყველა ჩვენს ქვეშევრდომთ, რომ ნებითა ღვთისათა გარდაიცვალა საყვარელი ბებია ჩვენი დიდი მთავრინა ალექსანდრა პეტრეს ასული, მონოზნობაში ანასტასიად წოდებული. განსვენებული გარდაიცვალა 13 აპრილს შემდეგ ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობისა, დაბადებიდან 62 წ.. ვუცხადებ რა ამ სამწუხარო ამბავს ყველა ჩვენ ქვეშევრდომთ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისინი, განიზიარებენ რა მწუხარებას, რომელიც ეწვია საიმპერატორო სახლს ჩვენსას, შეუერთებენ თავიანთ მხურვალე ლოცვას ჩვენსას, რათა განუსვენოს უფალმა სულსა მიცვალებულისას მონოზნისა ანასტასიასას, ერობაში წოდებულს დიდი მთავრინა ალექსანდრა პეტრეს ასულად და არ დაივიწყებენ მის თავგანწირულს შრომას მიმართულს ავადმყოფთა და დავრდომილთადმი, მის მიერ ქალაქ კიევში გამართულს პოკროვის სავანეში. მოსკოვი, 13 დღე აპრილისა, წელსა ქრისტეს შობიდან ათას ცხრაასსა, ხოლო მეფობიდან ჩვენისა წელსა მეექვსესა. ნამდვილზე თვით მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის მიერ მოწერილია:

ნიკოლოზ“.

14 აპრილი

**ნოვგოროდი.** გუშინ კრესცაში ცეცხლმა გადაბუგა 120 სახლი. აუარებელი ღარიბი ოჯახები დარჩნენ უსახლ-კაროთ. დღეს გუბერნატორი წავიდა ცეცხლისაგან დაზარალებულთათვის შემწეობის აღმოსაჩენად. ცეცხლის გაჩენის მიზეზი არ იციან.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ს ატყობინებენ, რომ ცეცხლი დაიწყო გულლაში დილის 11 საათზე. სასალამომდის 2000 ოჯახი დასტოვა ცეცხლმა უსახლ-კაროთ. უსახლკარონი ასობით ათევენ ღამეს ცის ქვეშ. ხმა არის, ვითომ რამდენიმე კაცი უმსხვერპლია ცეცხლს, მაგრამ ამის შესახებ ცნობების შეკრება სისწრაფით მოუხერხებელია, რადგანაც ცეცხლმა მოიცვა ფართო ადგილი, და სად რამდენი შეიქმნა მსხვერპლი, არ იციან.

**მოსკოვი.** აღდგომის პირველ დღიდან მოსკოვში ურიგებენ ხალხს ახალ გამოცემას ე. ვ. ბოგდანოვიჩისას, რომელიც სახალხო გამოცემად გამოვიდა მათ უდიდებულესობათა წმ. საიდუმლოს მიღებისა გამო. სურათზე გადაღებულია მოძღვრის წინაშე მუხლმოდრეკილი იმპერატორი, დახატულია აგრეთვე მათ იმპერატორებითი უდიდებულესობათაგან წმ. საიდუმლოს მიღება და აღდგომა ღამე კრემლის საკრებულო ტაძარში. ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე სურათებზე წარწერილი პატრიოტული სიტყვები.

**ელანდსლააგტე** წარსულ ღამეს ბურებმა გორაკებზე დასდგეს კიდევ ერთი ზარბაზანი ინგლისის მოწინავე რაზმს ახლო. ამ ჟამად ინგლისის პოზიციას ბრძანებლობენ სამი ზარბაზანი. ბურები დარწმუნებულნი არიან, რომ მათ მკვიდრად გამაგრებულ საფრებს ვერას დააკლებს ინგლისელების ზარბაზნები.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ს ატყობინებენ ლორენცო-მარკეზედან, რომ გემი „gironde“-ის შიგ მჯდომთა შორის იმყოფება ასამდის მუშა კრეზოს ქარხნისა.

**ლონდონი** დედოფალმა მიჰმართა ირლანდიელთ სიტყვით, რომელშიაც ნათქვამია, რომ იგი დიდად ნასიამოვნებია ირლანდიელთა პატივის ცემით, მას საუკუნოთ ეხსოვნება ახლანდელი მოგზაურობა ირლანდიაში და შეავედრებს ღმერთს, ერში სუფევდეს თანხმობა, იყოს ბედნიერი ირლანდიის ხალხი და გაითვალისწინოს წინმსვლელობის გზა. დუბლინის ღარიბ-ღატაკთა სასარგებლოდ დედოფალმა შესწირა ათასი გირვანქა სტერლინგი. დუბლინის და ბელფასტის ლორდ მერებს ებოძათ ბარონობა, ხოლო კორკის და ლონდონდერრის ლორდმერებს ებოძათ რაინდის ღირსება.

„დეილი ტელეგ.“-ს ატყობინებენ კიმბერლეიდან: „აქ ყოველ დღე მოდიან ნატალიდან გენ. ჰუნტერის დივიზიის რაზმები. მეტუენი ჯერ კიდევ ბოსკოფშია; მას ახლო უდგას მტრის ჯარი. ბურები უნახავთ ფრანკფურტთან, ბოსგროფისა და კიმბერლეის გზაზე, მაგრამ მისვლა-მოსვლა ამ ქალაქებში არ შეწყვეტილა.

**ლონდონი.** სალამოს გაზეთებში დასტამბულია დეპეშა, რომელშიაც იტყობინებიან, რომ ნიშნებია, ვითომ ოტტავაში ცეცხლი ფენიების ასოციაციას გაეჩინოს. ერთსა და იმავე დროს სამ ალაგას გაჩნდა ცეცხლი.

**გააგა.** ბურების მისსიის წევრთ გუშინ სალამოთი ჰქონდათ ხანგრძლივი თათბირი გარეშე საქმეთა მინისტრთან.

**ბერლინი.** „ნორდეუტშე ცეიტუნგ“-ში დაბეჭდილია: „უცხოელი ჟურნალ-გაზეთები გამოსთქვამენ აზრს, ვითომც იმპერატორის პარიზში წასვლა გამოწვეულია განზრახვით,—დაათვალიეროს გამოფენა. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ეს აზრი გაზეთებისა შეცდომაა“.

**კონსტანტინეპოლი.** კონსტანტინეპოლიდან ამბავი მოვიდა, რომ იქ დაუტუსაღებიათ ოცი კაცი, უმეტესობა სახელმწიფო მოხელენი, რომელთაც ჰბრალდება მლადოთურთა საქმეებში მონაწილეობის მიღება. დატყვევებულთა შორის არის პორტას იურის კონსულტის თანაშემწე გუსნიც.

**ბერლინი.** რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიამ, 20 ხმის უმეტესობით წინაალმდეგ 8, მიიღო წინადადება ცენტრისა, რომლითაც ეცხადება სრული თანხმობა სამხედრო ფლოტის ხარჯთ-აღრიცხვას, მხოლოდ უარია გამოთქმული, რომ მიემატოს შორს მოცურავე გემებზე მოსამსახურეთა რიცხვს; შემოკლებულია აგრეთვე სათადარიგო მატერიალური ნაწილი.

15 აპრილი

**რეველი.** ჯავშიანი ხომალდი „არაკსინი“ ფინლიანდიის წყლებში შევიდა.

**როსტოვი დონზე.** გუშინ როსტოვზე გაიარა ტაგანროგში მიმავალმა იუსტიციის მინისტრმა.

**ასტრახანი.** ნება დართულია გამოცემა კერძო ყოველ-დღიური გაზეთისა რუსულს ენაზე ასტრახანში, სახელად „კასპიის სავაჭრო სამეურნეო გაზეთი“.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა გამოაცხადა, რომ დიდი მთავრინის ალექსანდრა პეტრეს ასულის დასაფლავების დღეს, 15 აპრილს, 10 საათზე, მიბრძანდება ისაკიევის სობოროში განსვენებულისთვის გარდახდილ წირვისა და და პანაშვიდის მოსასმენლად.

**სახალინი.** კუნძულის სამხრეთ ნაწილში აღმოჩნდა ნავთი, რომლის ანალიზი ჯერ არ გაუკეთებიათ და არ იციან მისი ღირსება. ნავთის მოძებნის ნება-რთვას თხოულობენ ვლადივოსტოკის ვაჭრები სჲიონოვი და დემბი.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება, რომ გენერალი უორრენი დანიშნულია დასავლეთ გრიკუალანდის გუბერნატორად.

ბლუმფონტენიდან რობერტსი იუწყება, რომ ფრენჩი დილით თავის ცხენოსან ჯარით ტაბანჩუმდე მივიდა და შეუერდა გამილტონს და სმიტფრენის ბრიგადას. მტერი ჯერ კიდევ აღმოსავლეთისაკენ იმყოფება. ფრენჩი და გამილტონი სცდილობენ განდევნონ მტერი იქიდან. რენდლი გუშინ რვა მილის მანძილზე იყო ტაბანჩუდან სამხრეთისაკენ.

**ვენა.** საიმპერატორო სეიმი მოწოდებულია 25 აპრილისათვის, დელეგაციები კი 29-ისათვის.

**ნიცცა.** 14 აპრილს აქაურმა გარნიზონის ოფიცრებმა „პუნში“ გაუმართეს ჯავშნიანი გემის „იმპერატორი ალექსანდრე“-ს აფიცრებს. ნიცცას სამხედრო გუბერნატორი სამხედრო საკრებულოს კარებთან დახვდა ადმირალ ბირილევს და მის ოფიცრებს. ბევრი დალიეს სადღეგრძელოები მათ უდიდებულესობათა და პრეზიდენტ ლუბესი. ქუჩაში შეკრებულთ დიდ-ძალი ხალხი აღტაცებით ეგებებოდა რუსის აფიცრებს.

**კოპენჰაგენი** დღევანდელ სახელმწიფო რჩევაში მეფემ მიიღო გერრინგის სამინისტროს გადადგომის თხოვნა და დანიშნა ახალი სამინისტრო მეპარჯევენეთაგან. მთავარ და გარეშე საქმეთა მინისტრად იქმნება ჰოფ-ევერმეისტერი სიგსესტედი, იუსტიციის მინისტრად—პროფესსორი იუელრისსენსტენი, მიწად-მოქმედებისა—დირექტორი ფრიიი, ფინანსთა—პროფესსორი შარლანგი, საზღვაო საქმეთა—კომენდანტი მიდდებოე. სარწმუნოებათა—პრობსტი ბიერრე, სამხედრო—შნაკი და შინაგან საქმეთა—ბრამსენი.

დრ. რედ. **ალ. ჭუონია**

# გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 | გ. | —10 | კ. |
| სუკი . . . . | 1 | » | —15 | კ. |
| » ცხვრისა . | » | » | —11 | კ. |
| » კამეჩისა. . | » | » | — 5 | კ. |
| » ღორისა. . | » | » | — 8 | კ. |
| » ღორის ზარგალი სალორეთი . | 1 | » | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იისფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | $3^1/_2$ | » |
| » » | III | » | » | 3 | » |
| იგივე თონისა | I | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | $3^1/_2$ | » |
| ლავაში ჭკ. მამ. | I | » | » | 6 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |

ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: კოკზალეზე,

| ხორბალი საუკ. | ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ., |
|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი . . . . . . | 1 | — | 88 | — | 85 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ბზე . . . . . . | 1 | — | 28 | — | — |

შუშა რეცხილისა 1 სრული საყ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 8 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი 8ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი —მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 | მ. 25 კ. | № 4—7 | » 25 » |
| № 1—8 | » 50 » | № 5—7 | » — » |
| № 2—8 | » — » | № 6—6 | » 75 » |
| № 3—7 | » 50 » | № 7—6 | » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.

„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ასათოვისა. რვე 230 კაპ. ღარიბთათვის რჩევა-, ჩაა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხაროფუხისა**, კორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონ სტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუღიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ. ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდი სადამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის სადამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**საფოსტო მატარებელი № 4** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე—დღის 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მიდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, რე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე ს 94—ღამ9 წ. საღ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

---

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს**, რომ, მის თნადასწრებით, 1900 წ. 19 აპრილს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია ვაჭრობა, რომლით უნდა გაიცეს იჯარით მუშაობა ქუჩების შეკეთებისათვის: ქალაქის 1-ლ, მე-2 და მე-3 განყოფილებებში—5000 ოთხ. კუთხი საჟენისა, მე-4, მე-5 და მე-6 განყოფილებებში—2500 ოთხკუთხი საჟენისა, მე-7 და მე-8 განყოფილებებში—2500 ოთხკუთხი საჟენისა და მე-9 და მე-10 განყოფილებებში—5000 ოთხ-კუთხი საჟენისა.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლია განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის აღმაშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის—3 მდე.

(ნ. 3—3)


წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლადა სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია სურათით | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.



ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | |
|---|---|
| ნაწილი I საერო კრება | 60 კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტი | 1 მ. 20 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრჭყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | 30 „ |
| ივლითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | 30 „ |

პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება


გამომც. გ. გუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Апрѣля, 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.